საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 03.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 43-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. კომიტეტი, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას. კომიტეტის სამოქმედო გეგმა მიიღება კომიტეტის სხდომაზე ყოველი საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე. კომიტეტის სამოქმედო გეგმა ეცნობება პარლამენტის ბიუროს და ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე.“.

2. 107-ე მუხლის „$უ^2$“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„$უ^2$) საპარლამენტო გამჭვირვალობისა და პარლამენტის სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ამ რეგლამენტის 283^1 მუხლის შესაბამისად ქმნის ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს, ამტკიცებს მის დებულებასა და შემადგენლობას;“.

3. 176-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1–5^5 პუნქტები:

„5^1. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის განხილვის მიზნით, მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ჩართულობის პრინციპის გათვალისწინებით, მართავს შეხვედრებს საქართველოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

5^2. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შეხვედრების დაწყებამდე არაუგვიანეს 5 დღისა შეხვედრების გამართვის გრაფიკი ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე. შეხვედრების გამართვის გრაფიკში შეტანილი ცვლილებები დამატებით ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე შესაბამისი შეხვედრის გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა.

5^3. მოსახლეობის ინფორმირების მიზნით საკონსტიტუციო ცვლილებების არსის შესახებ მოკლე ინფორმაცია თავსდება პარლამენტის ვებგვერდზე და რიგდება შეხვედრების დროს.

5^4. საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შეხვედრაზე მოქალაქეთა მოსაზრებების დაფიქსირება ხდება ზეპირად ან/და წერილობით. მოქალაქეთა ზეპირი მოსაზრებები აისახება შეხვედრის ოქმსა და საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელ ოქმში, ხოლო საყოველთაო-სახალხო განხილვისას წერილობით ან/და ელექტრონულად წარდგენილი მოსაზრებები დაერთვის შემაჯამებელ ოქმს.

5^5. შეხვედრის ოქმი ქვეყნდება პარლამენტის ვებგვერდზე შესაბამისი შეხვედრის გამართვიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ხოლო საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შემაჯამებელი ოქმი – საყოველთაო-სახალხო განხილვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.“.

4. 283^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 283^1

1. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო იქმნება, მისი დებულება და შემადგენლობა მტკიცდება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით. ღია მმართველობის

მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულებას პარლამენტის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად წარუდგენს ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. ამ დებულებით განისაზღვრება ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს უფლებამოსილება, საქმიანობის წესი, მისი მუშაობის ორგანიზაციული საკითხები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან საბჭოს თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები, პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზების საკითხები, აგრეთვე ღია მმართველობის ფარგლებში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესრულების ზედამხედველობის წესი.

2. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო შედგება ფრაქციების თითო წარმომადგენლისაგან და იმ პარლამენტის წევრისაგან, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში. ფრაქციის თავმჯდომარე ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრობის კანდიდატს წერილობით წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარეს, ხოლო ის პარლამენტის წევრები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, საბჭოს წევრობის კანდიდატს წერილობით, ურთიერთშეთანხმებით წარუდგენენ პარლამენტის თავმჯდომარეს. ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შემადგენლობაში შესაძლებელია კვოტების დათმობა უმრავლესობაში გაერთიანებულ ფრაქციათა შორის, აგრეთვე უმცირესობაში გაერთიანებულ ფრაქციათა შორის. პარლამენტის თავმჯდომარე თანამდებობრივად არის ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი.

3. ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი.“.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე**

ქუთაისი,

18 აპრილი 2018 წ.

N2147-IIს